

მდგრადი განვითარება

მსოფლიოს დიდი ხანია საერთო მიზნები აქვს. ამის დადასტურებაა 2015 წლის 25 სექტემბრის გაეროს სახელმძღვანელო დოკუმენტი (193 წევრმა ქვეყანამ მიიღო): ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის.

ჩვენი, ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ეკოკლუბის წევრები კვლავ განაგრძობენ ნიკო კეცხოველის პრემიის კონკურსში მონაწილეობას და ეცდებიან თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანონ გლობალური პრობლემების დაძლევაში.

მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვანია „რომის კლუბი“ - საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს მსოფლიო სამეცნიერო, პოლიტიკური, კულტურული და ფინანსური ელიტის წარმომადგენლებს და მიზნად ისახავს ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის შესწავლას, მომავლის პროგნოზსა და პრობლემის გადაჭრის ერთიანი სტრატეგიის შემუშავებას. ამგვარი მიზანმიმართული მოღვაწეობის შედეგად ჩამოყალიბდა მდგრადი განვითარების კონცეფცია.

ვიცით, რომ მდგრადი განვითარება გულისხმობს ეკონომიკური განვითარების ისეთ მოდელს, როდესაც რესურსებით მოსახლეობის უზრუნველყოფა ხდება გარემოსადმი ზიანის მიყენების გარეშე, თანაც იმგვარად, რომ დაკმაყოფილებული იყოს არა მარტო დღევანდელი, არამედ მომდევნო თაობების მოთხოვნილებებიც. ეს არაჩვეულებრივად რთული და ძნელადმისაღწევი ამოცანაა, რომელიც მოითხოვს ძირფესვიანად შეიცვალოს არა მარტო ენერგიისა და ნედლეულის წყაროები და მათი გამოყენების ტექნოლოგია, არამედ ზოგადად ცხოვრების წესი. მსოფლიოს ყველა სახელმწიფო ცდილობს სხვადასხვა სფეროებში თავისი საქმიანობით მაქსიმალურად დაუახლოვდნენ მდგრად განვითარებას.

ჩვენმა ქვეყანამ არაერთი პროექტი განახორციელა ამ მიმართულებით: ჩვენს მეზობელ გორის რაიონში ამოქმედდა სრულიად უსაფრთხო და ეკოლოგიურად მიზანშეწონილი ქარის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგური.

მდგრადი განვითარების მიზნებიდან ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ მონაწილეობა და ჩვენი წვლილი შევიტანოთ ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებაში და დაცვაში, გარემოს დაბინძურების აღმოფხვრაში და მოსახლეობის ეკოლოგიურ განათლებაში. კონკურსში ჩაბმისთანავე ჩვენი ძირითადი ამოცანა სწორედ გარემოს დაცვა იყო და ამჟამადაც ამ კუთხით გავაგრძელებთ მუშაობას. ბრძოლა გამოვეცხადეთ პლასტმასს. მიზნად დავისახეთ გამოვხმაურებოდით მოწოდებას - „დედამინა პლასტმასის გარეშე“ და ამ საქმიანობას ამჟამადაც ვავრძელებთ.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს წვლილი მდგრადი განვითარების კუთხით, რაც გამოიხატება იმაში, რომ ქალაქ ქარელში საერთო საცხოვრებლებს, მნიშვნელოვან სამშენებლო ობიექტებს, ენერგიის დაზოგვის მიზნით გარედან თბოიზოლაციური საშუალებებით ფარავენ.

ჩვენი ეკოკლუბი თავისი შესაძლებლობის ფარგლებში იზრუნებს გარემოს სისუფთავისთვის, გალამაზებისა და გამწვანებისათვის. ერთად ვიცხოვროთ მყუდრო, ეკოლოგიურად სუფთა და ესთეტიკურად სასიამოვნო გარემოში.

ლუკა გოგოჩაშვილი
ააიპ-საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის
ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის
სახელობის გიმნაზიის ეკოკლუბ „ფენიქსი“-ის წევრი

გამოყენებული ლიტერატურა

1. „მდგრადი განვითარების მიზნები“ - მაია ბლიაძე; თბილისი 2022;
2. თავი 3, გვერდი 27 „მდგრადი განვითარება და მისი ასპექტები“
<https://www.civiceducation.ge/ka/lessons/3-27>
3. მდგრადი განვითარების მიზნები <https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/post-2015.html>